

შპს “ბიაი”

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს „ბიაი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები		31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
ფულადი სახსრები		166056	105,524	389355
სავაჭრო მოთხოვნები	7.1	433707	259,535	1301351
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	7.2	694959	502438	
არამატერიალური აქტივები		32731	42114	4096
<i>სასაქონლო მატერიალური</i>				
მარაგები	8	147687	79630	109555
წინასწარ გაწეული ხარჯები		127313	86596	101
		1602453	1075837	633242
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	9	937619	976663	709879
		937619	976663	709879
სულ აქტივები		2540072	2052500	1343121

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	11	142829	234707	175049
გადასახდელი ხელფასები		44470	23451	22423
საგადასახადო ვალდებულებები		41312	13718	2187
სხვა ვალდებულებები		8213	5326	173684
		236824	277202	373343

გრძელვადიანი ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები	12	0	9328	409971
ბანკის სესხი	10	635080	630324	28486
		635080	639651	438457

სულ ვალდებულებები

871904 916853 811800

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1667968	1135447	531121
		1668168	1135647	531321

სულ ვალდებულებები და კაპიტალი 2540072 2052500 1343121

შპს „ბიპი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

	2019წელი	2018წელი
კლიენტებისგან და დებიტორებისგან მიღებული ფული	2701651	3204394
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		
კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1821365)	(2132164)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(314742)	(331444)
გადახდილი პროცენტი	(60246)	(27047)
გადახდილი გადასახადი	(294425)	(246296)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	210873	467443
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(28125)	(411015)
გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე	(225255)	(523583)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(253380)	(934598)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	833363	706700
სესხის დაფარვა	(630324)	(73376)
სესხის გაცემა	(100000)	(450000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	103039	183324
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მატება	60532	(283831)

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	105524	389355
ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს	166056	105524

შპს “ბიაი“-ს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2019	2018
ამონაგები	3	2693572	3010876
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(1512085)	(1699250)
საერთო მოგება		1181487	1311626
სხვა შემოსავალი	4	159301	52636
გარე ორგანიზაციებიდან მიღებული			
ხარჯი	6	(88423)	(165538)
ადმინისტრაციული ხარჯები		(29358)	(374315)
ცვეთა		(187073)	(148061)
საგადასახადო ხარჯები		(15276)	(9335)
ფინანსური დანახარჯები	5	(65773)	(62687)
დასაქმებულთა ანაზრაურება		(382393)	
იჯარა		(6288)	
სხვა ხარჯები		(32392)	
სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან		(1291)	
მოგება დაბეგვრამდე		532521	604326
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0

მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	532521	604326
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში	1135647	531321
დივიდენდები	0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს	1668168	1135647

შპს “ბიპი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ბიპი“-ს ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებელი არის:

ზურაბ ჭარბაძე	100%
---------------	------

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება

წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: "ლარში".
ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც
მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ
პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით
შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენ
ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების
მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი
მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის
სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად
შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა
შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების,
რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული
აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო
გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ
აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის
საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება
ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად
ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება
მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო
თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების
გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის
თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო
ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო
დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-
მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების
ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება
პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალად დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო-შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. „ესტონური მოდელი“, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით

ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა

დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა

3. ამონაგები

2019

ლარი

საქონლის გაყიდვა

2693572

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების აფასების შედეგად მიღებული შემოსავლები 66780 ლარი და საპროცენტო შემოსავალი 92521 ლარი, სულ 159301 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2019

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(60246)

ფინანსური იჯარის პროცენტი

(5527)

(65773)

6. გარე ორგანიზაციებიდან მიღებული ხარჯი

დამხმარე მასალა და სათადარიგო ნაწილები

63558

ავტოსატრანსპორტო მომსახურება

20684

ავტომანქანების ხარჯი

848

საბანკო

3152

თხევადი გაზი

105

უანგბადი

76

88423

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

7.1 სავაჭრო დებიტორები

433707

259535

7.2 მოთხოვნები გაცემული სესხიდან

გაცემული სესხი

550000

450000

სესხზე დარიცხული პროცენტი

144959

52438

1128666

761973

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

საქონელი და ნედლეული

105010

72531

დაუმთავრებელი წარმოება

25143

მზა პროდუქცია

17534

7099

147687

79630

9.ძირითადი საშუალებები

	მიწა; შენობა ნაგებობე ბი; დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	მანქა ნა დანად გარები	ტრანსპ ორტი	ინვენტარ ი და სპეციალ ური მოწყობი ლობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა და სხვა	სულ
თვითღირებულება						
01.01.2019	73322	329321	536447	37376	197	976663
შემოსვლა			309319	13663		322982
გადაფასება			2000	63361		65361
გასვლა			-249699			-249699
31.12.2019	73322	329321	598067	114400	197	1115307
ცვეთა და გაუფასურება	-10124	-27049	-120422	-20027	-66	-177688
წმ.საბალანსო ღირებულება	63198	302272	477645	94373	131	937619
31.დეკემბერი 2018 / 31.12.2018	73322	329321	536447	37376	197	976663
31.დეკემბერი 2019/ 31.12.2019	63198	302272	477645	94373	131	937619

10.სესხები ბანკიდან	31.12.2019	31.12.2018
	ლარი	ლარი
ვითიბი ბანკი	635080	630324

11. სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
	142829	234707

12.ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31.12.2019	31.12.2018
	ლარი	ლარი
ფინანსური იჯარა	0	9328
		9328

13.ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია სამშენებლო მასალების საწარმო და სატრანსპორტო საშუალება.

31.12.2019	31.12.2018
ლარი	ლარი

6288

2690

6288

2690

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	165924	105519
ფულადი სახსრები ბანკში	132	5
	166056	10524

15. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შემდეგ ლიცენზიებს: 1. ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზია #10000012-, თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე თურდოზე ქვიშა-ხრემის საბადო. 2. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (სამეწარმეო დანიშნულებით) ლიცენზია #1005468 თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

30,09,2020 წელი

დირექტორი:

/ზ. ჭარბაძე/